საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

12 12 2019 წ. № 348 ქ. თბილისი

საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. 2019 წლის 12 დეკემბერს შეიქმნას წარმოებაში ჩაშვებულ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმებზე „სამურაი დასვენების ჟამს" (რეჟ: ლევან თუთბერიძე პროდიუსერი: შპს „ალამდარი") და „წვიმა ორ ნაპირზე" (შპს „ბათუმის საავტორო ფილმების დამოუკიდებელი სტუდია") თანხის დამატების განმხილველი საექსპერტო კომისია 3 წევრის შემადგენლობით:

1. ლევან კიტია - რეჟისორი;
2. თამარ ფოცხიშვილი – მხატვარი;
3. ლელა ოჩიაური - კინომცოდნე;

2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) იურისტს გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.
3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.
4. დაევალოს კინოცენტრის IT სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება ლევან კიტიას კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ლევან კიტიას პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ლევან კიტიას განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ლევან კიტიამ 1988 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის სარეჟისორო განყოფილება. 1988-1990 წლებში ლ. კიტიას კითხულობს სალექციო კურსს თანამედროვე კინოს შესახებ თსუ-ში, 1996-1997 წლებში იგი არის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, 1997-2000 წლებში თსუ ხელოვნების ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, ხოლო 2000-2006 წლებში ამავე ფაკულტეტის დოცენტი, ხოლო 2009 წლიდან თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

სხვადასხვა წლებში ლ. კიტია მუშაობდა რეჟისორის ასისტენტად, სტაჟორად, რეჟისორად, სამხატვრო ხელმძღვანელად, კრეატიულ დირექტორად, პროდიუსერად, ფოტოგრაფად, სცენარისტად, რეპორტიორად და წამყვანად 20-მდე სხვადასხვა ტელეპროექტში. 1978-1984 წლებში ლ. კიტია იყო თსუ ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარე. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი, რამოდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმის სცენარის თანაავტორი და ზოგიერთი მათგანის რეჟისორი. ფილმები მონაწილეობდნენ კიევის, კარლოვი-ვარის, თელ-ავივის, კასინოს, ედინბურგის, მიუნჰენის, საარბრუკენის, კლემონ-ფარანის, რეტერდამის, ედინბურგის, მოსკოვის, მონტეკატინის, კოტბუსისა და სხვა კინოფესტივალებზე. ფილმებს მოპოვებული აქვთ საერთაშორისო ჯილდოები.

კინო და ტელე სფეროში ხანგრძლივი და მრავალმხრივი სამუშაო გამოცდილების, მაღალი კვალიფიკაციისა და კრეატიული ხედვის გათვალისწინებით, ვიწვევ მას პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება თამარ ფოცხიშვილის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, თამარ ფოცხიშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-სა და სხვა წყაროების საფუძველზე, მივიჩნევ, რომ თამარ ფოცხიშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

თამარ ფოცხიშვილმა 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი. 1985-2008 წლებში მას მიყავდა ლექციების კურსი კინოს მხატვრის ოსტატობასა და კომპოზიციაში.

თამარ ფოცხიშვილი, როგორც დამდგმელი მხატვარი მუშაობდა არაერთ სატელევიზიო ფილმზე, ვიდეორგოლზე, მუსიკალურ სანახაობაზე, ფესტივალზე, ტელეპროექტსა და სერიალზე. თ. ფოცხიშვილი დამდგმელი მხატვარია ფილმების: „ტბა", „ჩონგური", „არა, მეგობარო", „კალმასობა იოანესი", „ანას დაბადების დღე", „ისინი", „ტრასა", „კედელი, „რჩეული" და სხვა.

თამარ ფოცხიშვილს მიღებული აქვს ჯილდო „ნიკა" საუკეთესო სამხატვრო ნამუშევრისთვის, კინოაკადემიის პრიზი „ნატო", როგორც საუკეთესო დამდგმელ მხატვარს.

ტელე და კინო სფეროში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილებისა და მაღალი მხატვრული გემოვნების გათვალისწინებით, ასევე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში კომისიის წევრთა დაკომპლექტების ახალი წესის შესაბამისად შეირჩეს თამარ ფოცხიშვილი, პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება ლელა ოჩიაურის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ლელა ოჩიაურის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე მივიჩნევ, რომ ლელა ოჩიაურის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ლ. ოჩიაური სტაჟირებას გადის მოსკოვის კინო ისტორიისა და თეორიის სკ ინსტიტუტში, სადაც მას ენიჭება კინომცოდნის კვალიფიკაცია. 2005წ. იგი დისერტაციას იცავს ქართული კინოს თემატიკაზე. ლ . ოჩიაურს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამეცნიერო-კვლევით კონფერენციასა და სიმპოზიუმში – როგორც მომხსენებელს. ლ. ოჩიაურს მიღებული აქვს კინოკავშირისა და თეატრის მოღვაწეთა კავშირების პრემიები. გამოცემული აქვს არაერთი კრებული, წიგნი და პუბლიკაცია სახელოვნებო თემებზე, ასევე არის მრავალი სამეცნიერო კრებულის, წიგნისა და ჟურნალის რეცენზენტი, რედაქტორი და სარედაქციო საბჭოს წევრი.

ლელა ოჩიაურს, მისი მაღალი პროფესიონალიზმის, ღრმა და მრავალმხრივი განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, ვიწვევ პროექტებისთვის თანხის დამატების საკითხის განმხილველი საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე